ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3985523

ნომერი: AR1603974

თარიღი : 27.05.2018

გაცემის თარიღი : 29.05.2018

გაცნობის თარიღი : 29.05.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის II მ/რ-ნი , I კვ. კორპ. N2-ის მიმდ. ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობების I და II მ/რ-ებს შორის, მდებარე ხევის გასწვრივ და ასასვლელი გზის დასაწყისში.; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის I და II მ/რ -ებს შორის მდებარე ხევის გასწვრივ და ასასვლელი გზის დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ თეთრაშვილი პ/ნ 01025003847
- კოსტავას 71ა ბ 47

ორგანიზაცია:
- შპს "დელტა დეველოპმენტი" კოდი: 405192321

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 27 მაისის AR1603974 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის I და II მ/რ-ებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.318) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას,
პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს/კ:01.14.01.007.290, ფართობი: 1850 კვ.მ.) კ-2 კოეფიცინტის 3,5-მდე მომატების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმებაის საფუძველზე დამტკიცებულია მერის 2017 წლის 5 მაისის N1-1059 ბრძნება, საჭიროა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებასთან ერთად საკითხი დააყენოთ მერის 2017 წლის 5 მაისის N1-1059 ბრძანებაში ცვლილების კუთხით. ამისთვის განცხადება უნდა ატვირთოთ ქ. თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge შესაბამის ნომენკლატურაში. მას შემდეგ რაც მერის ბრძანებაში შეტანილი იქნება აღნიშნული ცვლილება, შესაძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.